

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო**

ქ. ბათუმი

2010 წლის 11 ოქტომბერი

დადგენილება № 19

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წლისათვის
მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის შესახებ**

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ი) ქვეპუნქტის, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესისი მე-11 მუხლის მე-12 პუნქტის, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჯორბენაძის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჭიჭილეიშვილის და მუსიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ლ. ჭელიძის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 43 (ორმოცდასამი)-ით.
2. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს 16 (თექვსმეტი)-ით.
3. მუსიკის ფაკულტეტზე მისღები კონტინგენტი განისაზღვროს 18 (თვრამეტი) -ით.
4. ცნობად იქნას მიღებული, რომ ფაკულტეტების სპეციალობებზე კონტინგენტის გადანაწილებების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს დეკანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. წინამდებარე დადგენილების საფუძველზე გამოიცეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
6. აღნიშნული დადგენილებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.
7. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**აკადემიური საბჭოს
თავჯდომარე**

ე. მესხია